ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 1 2 0

ქ. ს ა მ ტ რ ე დ ი ა **2 9 მ ა ი ს ი 2 0 1 9 წ.**

ერთის მხრივ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია ს/კ 238769025, (შემდგომში წოდებული "დამკვეთი'), წარმოდგენილი მერის ვალერიანე ფოცხვერიას სახით და მეორეს მხრივ, ა/ო „გადასახადის გადამხდელთა კავშირი" ს/კ 203842510 (შემდგომში წოდებული "შემსრულებელი), მისი აღმასრულებელი დირექტორის გიგლა მიქაუტაძის სახით, ადასტურებენ რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის 2019 წლის 24 მაისის N1414-37 მოხსენებითი ბარათისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, მონეტარული ზღვრის დაცვით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ ხელშეკრულება) _ შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, მეორე- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", კვირა", "თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" _ პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მოწოდებას, ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. მომსახურება _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა/ო "გადასახადის გადამხდელთა კავშირი "მიერ შეხვედრის ჩატარება თემაზე: სახელმწიფო შესყიდვების მართვა, რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი კონტროლის მექნიზმები, 2019 წლის 7-9 ივნისს, კახეთში, სასტუმრო „სავანეთში"

1.2 CPV კოდი - 80500000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1200 (ათასორასი) ლარს

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს,

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო წესით, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო წესით, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთანავე მომწოდებელთან ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2 გაწეული მომსახურება შემსყიდველის მიერ ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა.

2.1 ა/ო "გადასახადის გადამხდელთა კავშირი "("შემსრულებელი') იღებს ვალდებულებას ჩაატაროს სამუშაო შეხვედრა, სემინარი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ერთი თანამშრომლისთვის ("დამკვეთი")

2.2 სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია ("დამკვეთი") იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ა/ო „გადასახადის გადამხდელთა კავშირი" (შემსრულებელი") შეთანხმებული საზღაური.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების

ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევა უზრუნველყოს სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში

ბ) იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხრას აღმოჩენილი ხარვეზი

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი)%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9.5. მხარეები მოვალენი არიან ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში 1 (ერთი) კვირის ვადაში აცნობონ მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზი და მათი შესრულების მოსალოდნელი თარიღი.

9.6. ყველა შესაძლო დანართი, ორივე მხარის მიერ შეთანხმებული და ხელმოწერილი, ძალაშია მხოლოდ ამ ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9.7. მხარეები მიმართავენ მთელ ძალისხმევას, რათა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი ან/და წინააღმდეგობა გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა მ/შ შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული სიტუაციის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული სიტუაციის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლება მოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. დამატებითი დებულებები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ეყრდნობა მხარეებს შორის მიღწეულ სრულ ურთიერთგაგებას.
13.2 მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას წამოჭრილი საკითხი, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
13.3 მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ისინი მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი სახელით და სახელშეკრულებო მუხლების არსრულებაზე წარმომადგენლობის რაიმე უფლება მესამე პირებს არ ეკისრებათ.
13.4 არსებულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
13.5 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და რჩება მხარეებთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

მხარეთა ხელმოწერები:

გადასახადის გადამხდელთა კავშირი
ს/კ 203842510
მის: ლუბლიანას 13 ბ
ტელ: +995591446244
მიმღები ანგარიში:
ს.ს. „თიბისი ბანკი“
GE61TB7730636080100005ბანკის კოდი:
BAGAGE22
ბანკის კოდი: TBCBGE22

აღმასრულებელი დირექტორი

გ. მიქაუტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ 238769025

მის: ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N6
ტელ: 558 49 77 42

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი

ვალერიანე ფოცხვერია

samtredia municipality

Digitally signed by samtredia municipality
Date: 2019.05.29 15:09:17 +04'00'